საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

რატილი იოსებ

ი. რატილი

რატილი იოსებ (ნავრატილი) (1840-1912), ჩეხი მომღერალი (ტენორი), ლოტბარი. დაიბადა ჩეხეთში, პარდუბიცეში. განათლება მიიღო პრაღის კონსერვატორიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მღეროდა პრაღის, ჰელსინკისა და ევროპის სხვა ოპერის თეატრებში. 1880 წელს რუსულ დასთან ერთად ეწვია თბილისსაც. ი. რატილი თბილისში დარჩა და აქ დამკვიდრდა კიდეც. 1880 – 1885 წლებში იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. დაუახლოვდა ქართველ მუსიკოსებს (ა. ბალანჩივაძეს, ი. კარგარეთელს, ხ. სავანელს, ზ. ჩხიკვაძეს და სხვ.). 1885 წლიდან ლადო აღნიაშვილთან ერთად სათავეში ჩაუდგა ლ. აღნიაშვილის მიერ დაარსებულ ხალხური სიმღერების გუნდს – „ქართულ ხოროს“. ეს იყო ქართული სიმღერების პირველი პროფესიული ანსამბლი. 1886 წლის 15 ნოემბერს ეს ანსამბლი პირველად წარდგა მაყურებლის წინაშე ქართული თეატრის (შემდეგ ა. გრიბოედოვის სახ. სახელმწ. რუსული დრამატული თეატრი) სცენაზე. კონცერტს ესწრებოდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც „ქართულ ხოროს“ გაზეთ „ივერიაში“ ვრცელი რეცენზია მიუძღვნა და, ლ. აღნიაშვილთან ერთად, ი. რატილს მადლობა გადაუხადა იმ წვლილისთვის, რაც მან ქართული ხალხური საგუნდო

ხელოვნების განვითარებაში შეიტანა. ანსამბლის წევრებს შორის იყვნენ ძმები ივანე და ზაქარია ფალიაშვილები. 17 წლის დიმიტრი არაყიშვილმა კი კომპოზიტორობა სწორედ ამ კონცერტის შემდეგ გადაწყვიტა. ლ. აღნიაშვილის გუნდი რამდენიმე წელიწადში დაიშალა და ფაქტიურად ი. რატილმა გააგრძელა მისი საქმე. 1890 წელს მან ჩამოაყალიბა ცალკე გუნდი, რომლის მეშვეობითაც ეწეოდა ქართული ხალხური სიმღერის პროპაგანდას. ქართული მუსიკალური ფოლკლორით მოხიბლული რატილი ჩაერთო მის შეგროვებასა და ნოტებზე გადატანაში; ჩაწერა და დაამუშავა ბევრი ხალხური სიმღერა, რითაც ისინი გადაარჩინა დაკარგვას. მათ შორისაა „დიამბეგო“, „ალილო“, „კახური სუფრული“, „ცანგალა და გოგონა“ და სხვ.

ი. რატილი გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე, ე. წ. მცირე „პანთეონში“, ლადო აღნიაშვილის საფლავის პირდაპირ.